

**გაზმომარაგების სისტემების მემონტაჟი 040673
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

თანამედროვე ენერგომომარებაში გაზი (ბუნებრივი აირი) წარმოადგენს ენერჯის ერთ-ერთ იაფ და შედარებით ეკოლოგიურად სუფთა საშუალებას მყარ და თხევად საწვავთან შედარებით. გაზმომარაგება მნიშვნელოვანია როგორც საწარმოო, ასევე საზოგადოებრივი შენობებისათვის გაზმომარაგების სისტემის მონტაჟის, რემონტისა და ექსპლუატაციის წარმოების სფერო მუდმივად ცვალებადია ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად და ითხოვს ინოვაციურ მიდგომებს და დროულ გადაწყვეტილებებს.

II. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს:

- ა) სამშენებლო კომპანიებში, შეასრულოს გაზდანადგარების თბოსაიზოლაციო სამუშაოები როგორც კერძო კომპანიების, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების დაკვეთით, ასევე თბოსაიზოლაციო მასალების სარეალიზაციო ობიექტებში – კონსულტანტად;
- ბ) როგორც კერძო კომპანიების, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის გაზზე პასუხისმგებელი პირი;
- გ) შეასრულოს გაზმომარაგების სისტემის მონტაჟი როგორც კერძო კომპანიების, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების დაკვეთით. სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების გაზდანადგართა მოწყობა;
- დ) მოახდინოს როგორც კერძო კომპანიების, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის თხევადი გაზის დანადგარების მოწყობა, ექსპლუატაცია და ტრანსპორტირება;
- ე) გაზდანადგართა სარეალიზაციო ობიექტებში.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟეს განათლება არის ერთსაფეხურიანი. საფეხურზე შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი. გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 70 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 60% სასწავლო კომპონენტს. ენიჭება გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. გაზომვარაგების სისტემის მემონტაჟის კვალიფიკაციათა აღმწერი:

III საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულბული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის გაზომვარაგების დანიშნულება; ძირითადი უსაფრთხოების წესები გაზის მეურნეობაში; სახლში გაზსადენების მოწყობის ძირითადი მოთხოვნები და პრინციპები; გაზის დანადგარებისადმი წაყენებული სანიტარულ-ჰიგიენური, ეკონომიკური, სამშენებლო, სამონტაჟო, საექსპლუატაციო მოთხოვნები; სახლში გაზის მოწყობილობების ექსპლუატაციის წესები; თხევადი გაზის დანადგარების მოწყობის ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები; ბუნებრივი გაზის აღრიცხვა-რეალიზაცია; იცის ბუნებრივი აირების ძირითადი ფიზიკური და ქიმიური თვისებები; იცნობს გათბობა-ცხელწყალმომარაგების ტექნიკურ ტერმინოლოგიას. იცის ხაზვის საფუძვლები; მარტივი დეტალების გამოხაზვა. სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოების, ელექტრო დრელის, ელექტრო პერფორატორის, მილების საჭრელი მაკრატლის, ელექტრო ხერხის მუშაობის პრინციპები გაზით სათბობი სისტემების პრინციპული სქემები, სათბობი ხელსაწყოების კლასიფიკაცია და მათდამი წაყენებული თბოტექნიკური, ეკონომიკური, არქიტექტურულ-სამშენებლო, სანიტარულ – ჰიგიენური, საწარმოო სამონტაჟო მოთხოვნები. იცნობს სათბობი ხელსაწყოების ძირითად სახეებს და მათი მონტაჟის თავისებურებებს; მიწისქვეშა გაზსადენების, მიწისზედა და სახლში გაზსადენების მოწყობის სქემებს და პრინციპებს; მიწისქვეშა, მიწისზედა და სახლში გაზსადენების ექსპლუატაციის წესებს; მიწისქვეშა გაზსადენების კოროზიისაგან დაცვის საშუალებებს. იცის სახლში გაზის მოწყობილობების შერჩევა და მონტაჟი; სახლში გაზის მოწყობილობების ექსპლუატაცია; სამრეწველო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო ობიექტების გაზდანადგართა მოწყობა; იცის სხვადასხვა ტიპის მონტაჟისათვის აუცილებელი ხელსაწყოების გამოყენების საჭიროება; გარკვეული დამოუკიდებლობით მონტაჟისათვის საჭირო ღინისძიებების დაგეგმვა; აქვს აზომვითი სამუშაოების გახორციელებისათვის საჭირო მათემატიკური მოქმედებების უნარი. იცის ფიზიკის ძირითადი კანონები. იცის სფეროსათვის დამახასიათებელი სათბობი დანადგარებისადმი</p>
------------------------------	---	---

		<p>წაყენებული მოთხოვნები და თბოტექნიკის საფუძვლები; სამრეწველო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო ობიექტების გაზდანადგართა მოწყობა, საქვებების მოწყობა და ექსპლუატაცია სათავსოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და თბური კომფორტის გათვალისწინებით; გაზგამათბობელი ხელსაწყოების გაზსადენებთან მიერთების ძირითადი სქემები და პრინციპები. იცის გაზსადენების განლაგება შენობებში, მისი ღია და დაფარული გაყვანის წესები, ტექნიკურ-ჰიგიენური და არქიტექტურულ-გეგმარებითი მოთხოვნები გაზსადენების გაყვანისას; ჩამკეტ-მარეგულირებელი არმატურის დანიშნულება; გათბობის და ცხელწყალმომარაგების გაზსადენთან დანადგარების მიერთების უსაფრთხოების ზომები; თხევადი გაზის დანადგარების მოწყობა; თხევადი გაზის ტრანსპორტირება; თხევადი გაზის დანადგარების ექსპლუატაცია; თხევადი გაზის შენახვის პრინციპები. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; საავარიო-სადისპეტჩერო სამსახურის ძირითადი ფუნქციებს და ამოცანებს; მოქმედებას ავარიული და უბედური შემთხვევების დროს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია ხელსაწყოების ელექტრო დრელის, ელექტრო პერფორატორის, მიღების საჭრელი მაკრატლის, ელექტრო ხერხის გამოყენება სამუშაოს შესასრულებლად. ფასონური ნაწილების შედუღება ელექტრო შემდუღებლით; სხვადასხვა ტიპის გამათბობელი ხელსაწყო მონტაჟი განსაზღვრული წესით. შეუძლია დამოუკიდებლად შეარჩიოს საჭირო ინსტრუმენტები და მასალები. შეუძლია გაზმომარაგების მიღების მონტაჟი დავალების შესაბამისად; გაზმომარაგების დანადგარების მონტაჟისათვის გარემოს მომზადება; შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს სახლში გაზის მოწყობილობების შერჩევა და სახლში გაზის მოწყობილობების ექსპლუატაცია; მოახდინოს ბუნებრივი გაზის აღრიცხვა-რეალიზაცია. შეუძლია გაზმომარაგების სისტემების პრინციპულ სქემებში გარკვევა. გაზმომარაგების მაგისტრალების მონტაჟისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიდგომების გათვალისწინება; მიწოდებული სამუშაო ნახაზების წაკითხვა და მათ საფუძველზე ხელმძღვანელის მითითებით მონტაჟის განხორციელება; სამუშაოს დაგეგმვა და პირველი და მეორე რიგის სამუშაოების განსაზღვრა; გაზმომარაგების სისტემების</p>

		<p>მონტაჟისათვის საჭირო დროის განსაზღვრა, ამისათვის საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების დამოუკიდებლად განსაზღვრა და გამოყენება; სამრეწველო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო ობიექტების გაზდანადგართა მოწყობის პრინციპების შერჩევა და საქვებების ექსპლუატაცია; თხევადი გაზის დანადგარების მოწყობა; თხევადი გაზის ტრანსპორტირება; თხევადი გაზის დანადგარების ექსპლუატაცია; თხევადი გაზის შენახვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია გაზის აღმრიცხველი ხელსაწყოების დაზიანების ამოცნობა. შეუძლია ხელმძღვანელის მითითება პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს სხვა მსგავსი პრობლემის გადაჭრისათვის. შეუძლია შეამჩნიოს და გამოასწოროს მონტაჟის ხარვეზები და უზუსტობები. შეუძლია ხელმძღვანელთან შეათანხმოს საკუთარი მოსაზრებები გაზის სისტემების მონტაჟის დროს წამოჭრილ პრობლემებზე. შეუძლია მონტაჟისას წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად თვითონ შეარჩიოს საჭირო ხელსაწყოები და იარაღები; შეამჩნიოს მონტაჟის ხარვეზები და უზუსტობები და დამოუკიდებლად შეძლოს მათი გამოსწორება. შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის გზების შესახებ კომუნიკაცია გამოცდილ კოლეგებთან, პრობლემების არსის დეტალური ახსნა და მათი პოზიციის გათვალისწინება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია საჭირო ინფორმაციის გააზრება-გაგება. მიცემული დავალების გაგება და საჭიროების დაზუსტება. გაზომომარაგების სისტემების მონტაჟის დროს წამოჭრილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია ინტერნეტით, მობილურით, კალკულატორით სარგებლობა, ასევე ფლობს უცხოურ ენას საბაზო დონეზე. შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება. შეუძლია ქართულ ენაზე დეტალური ზეპირი და წერილობითი ურთიერთობა გაზომომარაგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; იცის გაზომომარაგების უსაფრთხოების წესები და მომხმარებელს განუმარტავს მათ. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ინფორმაციის მოძიება პროფესიული ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან; სპეციფიკაციების, სამუშაო კონტრაქტების, სამუშაოსთან</p>

		დაკავშირებული განმარტებების და აღწერილობების წაკითხვა და გააზრება. შეუძლია ხელმძღვანელობას წარუდგინოს მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების დეტალური აღწერა; დამოუკიდებლად მოიძიოს პროფესიული ლიტერატურა; მოპოვებული ინფორმაციის სხვებისთვის გადაცემა. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით, შეუძლია კომუნიკაცია უცხოურ ენაზე და იცის გაზომვარაგებში გამოყენებული ტექნიკური ტერმინოლოგია. შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია პროგრამით განსაზღვრული საგნების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა. ნასწავლი მასალის გადმოცემა და პრაქტიკულად განხორციელება. შეუძლია მათემატიკის, ფიზიკის, გაზომვარაგების, გათბობის, ცხელწყალმომარაგების, ვენტილაციის, ენერგოდაზოგვის, ასევე უსაფრთხოების წესების შესწავლა მითითებული ლიტერატურის გამოყენებით. შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით. შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეფასებების საფუძველზე შეუძლია შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	იცნობს პროფესიულ ღირებულებებს. იცის გაზომვარაგების ძირითადი დანიშნულებები. გაცნობიერებული აქვს პროფესიული მოვალეობები. ყურადღებას იჩენს სამონტაჟო მასალების ეკონომიურად გამოყენებაზე და ენერგოდაზოგვაზე. არის კეთილსინდისიერი და კომუნიკაბელური. უფრთხილდება შრომის ინსტრუმენტებს; იცავს უსაფრთხოების წესებს. იცავს უსაფრთხოების წესებს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა შესრულებული სამუშაოზე.